ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1978

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 23 (6088)

1978 წ. 1 თებერვალი ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ბაკურიანი ემზადება

**ბაკურიანი, 31 იანვარი.** ამ საქვეყნოდ ცნობილ კურორტზე 3 მარტს საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საორგანიზაციო კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩერქეზიას თავმჯდომარეობით.

საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ზახავინი, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. პერტენავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ჯ. კვარაცხელია და პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, სამეურნეო და სპორტული მუშაკები.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ფ. ნაჟერიანმა სხდომას მოახსენა შეჯიბრების ტრასების მზადყოფნის შესახებ (ბაკურიანში იასპარეზებენ სათხილამურეები).

რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. ებრალიძემ და შ. ქველიაშვილმა ილაპარაკეს მონაწილეთა და სპარტაკიადის სტუმართა მისაღებად სპორტული ბაზების მზადყოფნის, მათი დაბინავებისა და კვების, სამედიცინო მომსახურების, ტრანსპორტის, ტექნიკური სამსახურის, პრეს-ცენტრისა და ამ დიდი სპორტული ზეიმის დღეებში გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებათა შესახებ.

სხდომის მონაწილენი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათხილამურეებისათვის უსაფრთხო და ამავე დროს სწრაფი ტრასების მომზადებას. ამისთვის საჭიროა ოპერატიულად გადაწყდეს საკითხი ტექნიკისა, რომელიც მოემსახურება სწრაფდაშვების ტრასებს.

საორგანიზაციო კომიტეტმა დასახა სხვა ღონისძიებებიც სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის სტარტების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. (საქინფორმი).

## „სიცოცხლის გზაზე"

**ლენინგრადის** მიდამოებში გაიმართა ზამთრის ტრადიციული მარათონული შეჯიბრება „სიცოცხლის გზაზე", რომელიც წლეულს მეცხრედ ჩატარდა. პირველობა მოიპოვა ლენინგრადელმა არმიელმა ვ. კლიუკოვკინმა. მან 42 კმ 195 მ 2 საათში, 24 წუთსა და 35 წამში დაფარა. უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის — ომის ვეტერანებში (ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ასეთი 159 მორბენალი შეგროვდა) ყველას აჯობა არზამასელმა ე. გოტმანმა, რომელმაც 20 კილომეტრი 1 საათში, 18 წუთსა და 10 წამში დაფარა.

## რეკორდები

**ბაქოში** საჰაერო დაცვის ჯარების საოლქო პირველობაზე მსოფლიო რეკორდი დამყარდა მეორე მძიმე წონის ძალოსანთათვის: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. საიდულაევმა 222 კილოგრამი აჰკრა, რითაც ერთი კილოგრამით გააუმჯობესა ჟ. პანაზოვის (ყაზახეთი) წინანდელი რეკორდი.





# რბენის პრიორიტეტი

**თხილამურები**

**ბაკურიანი,** 31 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება სათხილამურო ორჭიდში, ხოლო დღეს ასეთივე ძვირფასი ჯილდოსთვის მებრძოლი ვაჟები 15 კილომეტრზე ასპარეზობაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

სხვათა შორის, გუშინ ორჭიდელებიც ამავე მანძილზე იბრძოდნენ, რასაც ადგილების საბოლოო განაწილებაში მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა.

ვწერდით, რომ 70-მეტრიან ტრამპლინზე ხტომის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ს. ომელჩენკომ (შეიარაღებული ძალები), რომელმაც 217,5 ქულა მოაგროვა.

გუშინ შესანიშნავად ირბინა გამოცდილმა სპორტსმენმა ნ. ნოგოვიცინმა („ზენიტი"). მან ტრასის შემოვლას 47.33 მოანდომა და 220 ქულა დაიმსახურა. ხტომების შემდეგ ნოგოვიცინი მხოლოდ მეექვსე იყო (იგი ომელჩენკოსთან 6,1 ქულას აგებდა). ორჭიდის ჯამში კი 431,4 ქულას მოუყარა თავი და საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა. ომელჩენკომ რბენაში მხოლოდ 196,85 ქულა მიიღო და საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა. რბენაში კარგი ასპარეზობით სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს ა. ჰაიგონენმა (შეიარაღებული ძალები), ვ. კოპაევმა („ლოკომოტივი") და ლ. ჩაშჩინმა („ბურევესტნიკი"). ეს უკანასკნელი ხტომის შემდეგ VII ადგილიდან ორჭიდში II ადგილზე დამკვიდრდა — 417,8 ქულა. კოპაევი მას 0,3 ქულით ჩამორჩა და თასის გათამაშებაში III ადგილი მოიპოვა.

15-კილომეტრიან ტრასას (ავტორი გ. სანაკოევი) სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს. იგი, მონაწილეებისა და მაყურებლებისთვის საინტერესოდ იყო მოწყობილი. დისტანცია ორი — 10-და 5-კილომეტრიანი წრეებისგან შედგებოდა, რაც მაყურებლებს ბრძოლის მსვლელობისთვის თვალყურის დევნებას უადვილებდა.

დღეს დილით სწორედ ამ ტრასაზე გაიმართა რბენებში საკავშირო თასებისთვის მებრძოლთა შეჯიბრება. 15 კილომეტრზე ასპარეზობის საწყისზე ქვეყნის ის 58 საუკეთესო მორბენალი შეგროვდა, რომლებსაც ადრე გამართული ტურნირების შემდეგ მსოფლიო პირველობაზე წასვლის საგზურებისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება მიეცათ.

თავდაპირველად საკმაოდ ცნობილი სპორტსმენი დინამოელი ვ. როჩევი დაწინაურდა, ნახევარი დისტანციის გავლას მან 20 წუთი და 11 წამი მოანდომა და 8 წამს უგებდა ნ. ბაჟუკოვს (შეიარაღებული ძალები). კიდევ 2,5 კილომეტრის მერე ბაჟუკოვმა 2 წამის გასწორება შეძლო. მაგრამ მთავარი ბრძოლები წინ იყო. დარჩენილ 5 კილომეტრზე ბაჟუკოვმა სპრინტერის სისწრაფე განავითარა და როჩევს არა მარტო დაეწია, არამედ საბოლოოდ ჯამში 19,2 წამიც მოუგო. მისი შედეგია 41.21,8, როჩევისა — 41.41,0. III ადგილი წილად ხვდა სპარტაკელ ნ. ზიმიატოვს. იგი სსრ კავშირის ნაკრებში ორი წლის წინათ ჩაირიცხა და მისასალმებელია, რომ ესოდენ სტაბილურ შედეგებს აჩვენებს. ზიმიატოვმა ამჯერად ფინიშამდე მისვლას 41 წუთი და 59,8 წამი მოანდომა.

ვ. ბელიაევი საბჭოთა გუნდის ყველაზე ტანმაღალი და მძიმე სპორტსმენია. ამ კაცს ერთობ მოზღვავებული ენერგია აქვს. სტარტიდან იმდენად სწრაფად დაიწყო რბოლა, რომ მის გამარჯვებაში მაყურებელს ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ მწვრთნელები სხვანაირად ფიქრობდნენ. გოლიათს ასეთ სიმაღლეზე რბენა ყოველთვის უჭირს. ბელიაევმაც ტემპს თანდათან უკლო და საბოლოოდ VII ადგილს დასჯერდა — 42.46,8. მას აჯობეს საკმაოდ ცნობილმა მორბენალმა ს. საველიევმა (შეიარაღებული ძალები) — 42.17,0 და შედარებით ახალგაზრდებმა — რ. ბაკიევმა („ბურევესტნიკი") — 42.33,6 და ვ. შნაიდერმა (შეიარაღებული ძალები) — 42.38,4.

ხვალ ქალები ბრძოლას განაახლებენ, ისინი 5-კილომეტრიან დისტანციაზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

**მ. ზაქარეიშვილი.**

• • •

ვიტყობინებოდით, რომ რბოლებში საკავშირო თასების გათამაშების სტარტზე — ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბენაში კვლავ უძლიერესი იყო მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კულაკოვა („ტრუდი", უდმურტეთის ასსრ).

• • •

**სურათებზე:** სსრ კავშირის წლევანდელი თასების მფლობელები გ. კულაკოვა (მარცხნივ) და ორჭიდში გამარჯვებული საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნ. ნოგოვიცინი.

მ. დათიკაშვილის ფოტოები. (საქინფორმი).

## ჭადრაკი

### საქართველოს პირველობიდან საკავშიროზე

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა დიდ წარმატებებს მოჰყა ის, რომ საკავშირო სპორტკომიტეტმა მათს რესპუბლიკურ პირველობას სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატის ნახევარფინალის უფლებები მიანიჭა. რა თქმა უნდა, ამან დიდად გაზარდა საქართველოს ქალთა პირველობის მნიშვნელობა.

წლევანდელი პირველობის ფინალი 5-31 მაისს ქუთაისი უმასპინძლებს. შეჯიბრებაში პერსონალურად არიან მიწვეული მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი, დიდოსტატები მ. ჩიბურდანიძე, ნ. ალექსანდრია, საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, ოსტატები ნ. იოსელიანი, ნ. გურიელი, თ. ხუგაშვილი, ც. კობაიძე და ე. კაკაბაძე. ტურნირზე დაიშვებიან საქართველოს შარშანდელი პირველობის პრიზიორები — დები ნ. და ქ. მელაშვილები, ნ. ჩხაიძე, რესპუბლიკის ჩემპიონი გოგონათა შორის, თბილისის ჩემპიონატისა და საქართველოს პირველობის ნახევარფინალის სამ-სამი პრიზიორი.

4 თებერვალს ახალციხეში სტარტს აიღებს ნახევარფინალური ტურნირი, რომელიც 24 თებერვლამდე გასტანს. ფინალის სამი საგზურისთვის ბრძოლაში 14 მოჭადრაკე ჩაებმება.

უფრო ადრე, 2 თებერვალს გორში, სოხუმსა და გეგეჭკორში დაიწყება საქართველოს ვაჟთა პირველობის ნახევარფინალები. თითოეულ ტურნირში 18 კაცი ითამაშებს, არცერთ მონაწილეს პირველზე ნაკლები თანრიგი არ უნდა ჰქონდეს. ფინალის საგზურებს I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ.

ფინალი გაიმართება გორში 5-31 მაისს. მასში ნახევარფინალისტების გარდა მონაწილეობას მიიღებენ დიდოსტატები ბ. გურგენიძე, თ. გიორგაძე, ე. გუფელდი, ოსტატები ე. უბილავა, გ. ზაიჩიკი, საქართველოს შარშანდელი პირველობის პრიზიორები ოსტატი ზ. სტურუა, ოსტატობის კანდიდატები ს. ლპუტიანი, მ. არჩვაძე (სამტრედია), ჭადრაკის სასახლის ჩემპიონი, ოსტატი თ. ლომაია, თბილისის პირველობის პრიზიორები — ოსტატი ი. ჩიქოვანი, ოსტატობის კანდიდატები გ. ციხელაშვილი, დ. გედავანიშვილი და საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის.

საქართველოს ქალთა და ვაჟთა პირველობების დღეებში, იქვე ქუთაისსა და გორში, მოეწყობა რესპუბლიკის ჩემპიონატები ელვისებურ თამაშში.

პირველობათა დებულებაში ნათქვამია, რომ საბოლოო შედეგების შეჯამებისას თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები განაწილდება გამარჯვებათა რაოდენობის (ცხადია, უპირატესობა მეტ მოგებას მიენიჭება), კოეფიციენტთა ცხრილისა და პირადი შეხვედრის შედეგის მიხედვით.

## ჭიდაობა

### ახალ სპორტულ დარბაზში ასპარეზობენ იუნიორები

**ახალი** სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა იუნიორთა საქალაქო პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. სარბიელზე გამოვიდა 45 ახალგაზრდა ათლეტი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ქალაქის 1978 წლის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭეს მ. პავლიაშვილმა, გ. კოპაძემ, ზ. შულღიაშვილმა, მ. ჯინიყაშვილმა, გ. ხალუჭაშვილმა, რ. ჯებისაშვილმა და ნ. ზათიშვილმა. გამარჯვებულები ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

**მ. თევდორაშვილი.**

## ტელეტაიპის ლენტიდან

**ულან-ბატორი.** ლენინსკ-კუზნეცკის ცნობილი სკოლის აღსაზრდელებმა წარმატებით იასპარეზეს მონღოლეთის რევოლუციის ზელადის სუხე-ბატორის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილ სპორტულ ტანვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში. გოგონათა შორის მრავალჭიდში I-II ადგილები დაიკავეს ე. საფრონოვამ და ა. გლებოვამ. მესამე იყო ო. ურლეხუ (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა). ვაჟთა შორის საპატიო კვარცხლბეკის ყველა საფეხურზე საბჭოთა სპორტსმენები ავიდნენ (მ. ჩეტვერიაკოვი, ა. ტიხონკიხი და ს. კისელიოვი).

**პრაღა.** მაგიდის ჩოგბურთის უძლიერესმა ევროპელმა ოსტატებმა (12 ქალი და 12 ვაჟი) ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში ჩაატარეს მე-8 ტრადიციული ტურნირი „ტოპ-12". ეს ასპარეზობა ძალის მოსინჯვა გახლდათ ევროპის მომავალი ჩემპიონატის წინ, რომელიც მარტში დუისბურგში (გფრ) ჩატარდება.

ქალთა ტურნირში 7-7 გამარჯვება მოიპოვეს კონტინენტის ჩემპიონმა ჯილ ჰამერსლიმ (ინგლისი), ჰოლანდიელმა ბეტინა ვრიესკოპმა და საბჭოთა სპორტსმენმა ვალენტინა პოპოვამ (სუმგაითი). პარტიების უკეთესი სხვაობის გამო გამარჯვება ინგლისელ სპორტსმენს მიეკუთვნა. პოპოვა III ადგილზეა.

ვაჟთა შორის პირველი იყო გ. გერგელი (უნგრეთი). ლვოველი ა. სტროკატოვი IX ადგილზე გავიდა.

**ბრიუსელი.** დღე-ღამის განმავლობაში ბელგიელმა სპორტსმენმა ანრი სუეტენსმა 64 კილომეტრი და 20 მეტრი გაცურა. მან 1 კმ-ით და 720 მეტრით გააუმჯობესა უწინდელი მსოფლიო მიღწევა, რომელიც ცნობილ ფრანგ მოცურავეს მიშელ რუსოს ეკუთვნოდა.

**ორ დღეს** მიმდინარეობდა საქართველოს პირადი პირველობა ფიგურულ ციგურაობაში 1965-1968 წლებში დაბადებულებს შორის. ასპარეზობაში 30 გოგონა და 20 ჭაბუკი ჩაება. შეჯიბრებას უნდა დაესახელებინა ის სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ნორჩ მოციგურავეთა საკავშირო ჩემპიონატში.

სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლები პირველად 1972 წელს გამოვიდნენ და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს — მ. ცერცვაძემ ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მომდევნო წლებში ჩვენმა სპორტსმენებმა გ. შანყულაშვილმა, ო. რუხაძემ, მ. სიხარულიძემ და ქ. გუჯაბიძემ საპრიზო ადგილები დაიკავეს.

მაგრამ, მოდით, ისევ თბილისის ფიგურული ციგურაობის დარბაზში გამართულ საქართველოს პირად პირველობას დავუბრუნდეთ. მოზარდთა პირველი თანრიგის პროგრამით ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს გ. იაშვილის აღსაზრდელებმა. გოგონებს შორის I ადგილი დაიკავა ი. კრავცოვამ, ხოლო ჭაბუკებში გ. აკოფაშვილმა. II თანრიგის პროგრამის მიხედვით ყველაზე უკეთ გამოვიდნენ მ. ბარიშვილის აღსაზრდელები. გოგონებში ყველას აჯობა მ. ჩხეიძემ. ჭაბუკებში საუკეთესო იყო ზ. ხუციძე. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პირველი თანრიგის პროგრამით მოასპარეზეთა შეჯიბრებამ. გოგონათა შორის ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო ნ.

# რას უდრის იქსი?

დვალიშვილმა (მწვრთნელი გ. შამყულაშვილი), რომელიც მსუბუქად და ოსტატურად ასრულებდა რთულ ვარჯიშებს. ეს გოგონა მომავალში ალბათ უფრო ფართო ასპარეზზე ისახელებს თავს. ვაჟებს შორის I ადგილი დაიკავა ა. ტოროსიანმა (მწვრთნელი ლ. დოლიძე). სპორტულ ცეკვებში (იმის გამო, რომ რესპუბლიკაში მხოლოდ სამი წყვილია) უფროსი ასაკის წყვილი — ლ. ნაკაიძე — დ. ჯლამაძე (მწვრთნელი მ. ჯაიანი) დაუშვეს. მათ არ გასჭირვებიათ გამარჯვება. შეჯიბრებაზე დიდი მოწონება დაიმსახურა ლ. სამხარაძისა და ი. კუზმინას წყვილის საჩვენებელმა გამოსვლამ.

ახლა კიდევ ერთხელ გვინდა დავუბრუნდეთ ქართული ფიგურული ციგურაობის — რესპუბლიკაში სპორტის ამ არცთუ დიდი ხნის წინათ დანერგილი სახეობის გასაჭირს. სხვადასხვა სახეობებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც ათასობით მაყურებელს იზიდავს. არ არსებობს სპორტის სახეობა, ალპინიზმის გარდა, რომელსაც თავისი მაყურებელი არ ჰყავდეს. სპორტსმენი და მაყურებელი! ეს ორი ცნება განუყოფელია. ახლა არ დავობენ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ცარიელი ტრიბუნები სპორტსმენებზე და, პირიქით, როგორ მოქმედებს მრავალრიცხოვანი მაყურებლის მხარდაჭერა. ამდენად, სპორტში შეჯიბრებას, ბევრი მაყურებელი ჰყავს თუ მცირე, მაინც აქვს თავისი განწყობილება, თავისი ინტერესი, აჟიოტაჟი, თავისი სამყარო, რომელსაც ყოველთვის ორი რამ ქმნის — სპორტსმენი და მაყურებელი, მაყურებელი და სპორტსმენი. და არავითარ შემთხვევაში მხოლოდ სპორტსმენი.

ამ უბრალო ჭეშმარიტებაზე არც გავამახვილებდით ყურადღებას, რომ...

ფიგურული ციგურაობის ქართველმა მოყვარულებმა კარგად იციან ჩვენი გოგონებისა და ჭაბუკების მიერ საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებული წარმატებების შესახებ. ამაზე ბევრი დაიწერა და უფრო მეტი ითქვა, მაგრამ არც ერთ გულშემატკივარს არ უნახავს აფიშა, რომელიც ამ სახეობის ქომაგებს რესპუბლიკის თუ ქალაქის ჩემპიონატებზე მიიპატიჟებდა. მაგრამ რომ ენახა კიდეც, შეჯიბრებაზე მაინც ვერ წავიდოდნენ იმ „უბრალო" მიზეზის გამო, რომ ჩვენ ფიგურისტთა სარბიელს ტრიბუნა არა აქვს. და კიდევ, რესპუბლიკის სპორტის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა — საქართველოს ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში იჟევსკში ჩატარდება. რესპუბლიკის ჩემპიონატი — რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იმის გამო, რომ სტანდარტული ზომის სარბიელი არა გვაქვს. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენს გუნდს საკავშირო მასშტაბით იცნობენ და აფასებენ. 1966 წლიდან დღემდე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებში 12 თბილისელი სპორტსმენი გამოდიოდა. სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში ჩვენმა სპორტსმენებმა VI ადგილი დაიკავეს, 1976 წელს საკავშირო თასის გათამაშებაში გუნდური V ადგილი მოიპოვეს ლენინგრადის, მოსკოვის, რსფსრ-ისა და უკრაინის შემდეგ. თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ქართველი ფიგურული მოციგურავე, სპორტის ოსტატი მ. ცერცვაძე ზედიზედ ორჯერ ფლობდა საკავშირო თასს.

ბოლო ოთხი წლის მანძილზე ბევრჯერ ითქვა ფიგურული ციგურაობის სტანდარტული მოედნის მშენებლობაზე. გადაწყდა შექმნილიყო მშენებლობის პროექტიც, მაგრამ ჯერჯერობით საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ამის გამო საქართველოს ნაკრები ყოველ წელს (1965 წლიდან) რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიემგზავრება თითქმის 3 თვით. ეს კი, არც მოსახერხებელია და ძვირიც ჯდება. აი, რა გვითხრა ამის შესახებ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ი. ჯაფარიძემ:

— ჩვენი გუნდი იანვრის ბოლოს გაემგზავრება იჟევსკში, სადაც თებერვლის შუა რიცხვებში საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატს ჩავატარებთ. მარტში კი ვიასპარეზებთ სვერდლოვსკში ზამთრის IV საკავშირო სპარტაკიადაში. გუნდი 30 წევრისგან შედგება. დავგეგმეთ, რომ დღეში 10 საათით დავიკავებთ ყინულს. ერთი საათის განმავლობაში ვარჯიში 80 მანეთი გვიჯდება. როგორც ხედავთ, ამოცანა საკმაოდ მარტივია: ცნობილია ის ამბავი, რომ გუნდი 1965 წლიდან 90 დღის მანძილზე „უცხო" მოედნებზე ვარჯიშობს და ის, რომ ყინულზე ერთი საათით ვარჯიში 80 მანეთი ღირს. „ამოცანა" გვეკითხება, რას უდრის იქსი, ანუ რამდენი დაჯდებოდა ეს გასტროლები 12 წლის მანძილზე? დაბოლოს, ამ თანხით ავაშენებდით თუ არა სტანდარტულ მოედანს, რომელიც ჰაერივით სჭირდებათ ჩვენს სპორტსმენებს?

ამ ამოცანის გადაწყვეტით ორი კურდღლის დაჭერა შეიძლებოდა: ჩვენს ფიგურისტებსაც ექნებოდათ სარბიელი და ქართველი ბიჭუნებისთვის ჰოკეის სექციასაც გავხსნიდით. ამის თაობაზე რედაქციაში ბარე ორმოცამდე ბიჭუნამ მოგვწერა. მათ ზურგს უკან კი ჰოკეის მოყვარულთა მთელი არმიაა.

**ჯ. კასრაძე.**

# მაღალი შეფასება

**ტუნისი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე სოკ-ის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა განაცხადა, რომ მოსკოვში მშენებარე ოლიმპიური ნაგებობები უმაღლეს შეფასებას იმსახურებს, უპირველესად თავისი ხარისხით.

როგორც კილანინმა აღნიშნა, „მოსკოვის ოლიმპიური სოფელი უეჭველად საუკეთესო იქნება მთელი ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში". სოკ-ის პრეზიდენტმა, რომელიც ახლახან სტუმრად იმყოფებოდა მოსკოვში, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. კოსიგინთან საუბარზე. იგი ნათელი დადასტურებაა იმ დიდი ყურადღებისა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ოლიმპიადისთვის მზადებას უთმობს.

ტუნისში განიხილეს, აგრეთვე, საერთაშორისო სპორტული მოძრაობის განვითარების საკითხები, სოკ-ის სხვადასხვა კომისიის ანგარიშები, მოხსენება ათენში სოკ-ის სესიისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

(საკდესი).



დუმანების ფაბრიკა „არმუგონში" შეუდგნენ სუვენირების დამზადებას ოლიმპიადა-80-ისთვის.

 რ. პოზდნიაკოვის ფოტო.

# დაათვალიერეს ობიექტები

**თუმცა** XII ოლიმპიური თამაშების გახსნამდე ორ-ნახევარ წელზე მეტია დარჩენილი, ოლიმპიადისთვის მზადება მთელი ძალით მიმდინარეობს.

მოსკოვში ოლიმპიური თამაშების მომზადებისა და ჩატარების საქმეში ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტსა და გდრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანამშრომლობის საკითხების განხილვის მიზნით ჩვენს დედაქალაქს ესტუმრა გდრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია გერმანული სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის თავმჯდომარის, გდრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მანფრედ ევალდის ხელმძღვანელობით.

დელეგაციის წევრებმა მოლაპარაკება გამართეს ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებთან, დაათვალიერეს ოლიმპიური ობიექტები და ახალმშენებლობანი,

# მზადება გაშლილი ფრონტით

**ოლიმპიადა**-80-ისთვის მზადებაში უკვე ჩაება 1500 საბჭოთა საწარმო და ორგანიზაცია. ძნელია ჩამოთვალო საორგანიზაციო კომიტეტის ყველა შეკვეთა, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკებში მზადდება. მაგალითად, საცურაო აუზის ურთულეს კონსტრუქციებზე მუშაობენ ბელორუსიის ქალაქ მოლოდეჩნოში, ოლიმპიადის რადიო-ტელეცენტრის მოწყობილობას ამზადებენ ლიტვაში. რიგელები ოლიმპიადისთვის გამოუშვებენ სპეციალურ ავტობუსებს, მათ შორის ოლიმპიური ცეცხლის თანმხლებსაც. ამ ავტომობილებში მოწყობილი იქნება სხვადასხვა აპარატურა და ფერადი ტელევიზორები.

როგორც ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტში გვითხრეს, საბჭოთა მრეწველობის პროდუქციის წილად მოდის მთელი ოლიმპიური შეკვეთების 3 მეოთხედზე მეტი. ოლიმპიურ ნაგებობათა მშენებლობაში მონაწილეობს 33 სამშენებლო გაერთიანება. მშენებარე ბაზებიდან ბევრი უნიკალურია, მაგალითად, იზმაილოვოს სპორტული დარბაზი (სადაც ჩატარდება ძალოსანთა შეჯიბრება) ოლიმპიადის ისტორიაში იქნება ყველაზე დიდი ნაგებობა, რომელსაც კი ძალოსანთა შეჯიბრებებისთვის უმასპინძლია.

1980 წლის ოლიმპიური თამაშები თანამედროვე სპორტული ტექნიკის ახალი დათვალიერება იქნება. ცნობილი უცხოური ფირმების მსგავსად, რომლებმაც თავი ისახელეს წინა ოლიმპიადებზე და რომელთა ნაწარმსაც აღიარებენ საერთაშორისო ფედერაციები, ჩვენმა სამრეწველო საწარმოებმაც მრავალი შეკვეთა მიიღეს. კერძოდ, საბჭოთა კავშირში მზადდება: სამსაჯო აპარატურის კომპლექტები კრივში, ხელბურთში, ფარიკაობასა და სროლაში შეჯიბრებებისთვის.

სპორტული ობიექტების მოწყობილობისა და ინვენტარის ბევრი სახეობის შექმნაზე საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების საწ[...] რმოები ერთად მუშაობენ. [...] ცნობილია, რომ ოლიმპიურ ას[...] რეზობებზე წარმოდგენილი იქნებ[...] მოსკოვის სპორტული ნაწარმ[...] ექსპერიმენტული ფაბრიკის, კი[...] ოვის ქარხანა „დინამოს", ლენი[...] გრადის ექსპერიმენტული ქარხან[...] „სპორტისა" და ვოროშილოვგრა[...] დის სპორტული ნაწარმის ქარხნ[...] პროდუქცია. ისინი დაამზადებე[...] ინვენტარს ტანვარჯიშში, ძალოს[...] ნობასა და სპორტის სხვა სახეო[...] ბებში შეჯიბრებებისთვის.

... ოლიმპიადის დაწყებამდე ორ[...] ნახევარი წელია დარჩენილი, მა[...] რამ მზადების ფრონტი საკმაო[...] ფართოდ არის გაშლილი. ბევ[...] რამ გამოიცდება გრანდიოზუ[...] სპორტულ დღესასწაულზე — სს[...] კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზ[...] რომლის ფინალი 1979 წლის ზაფ[...] ხულში შედგება.

# მძლეოსანთა ჰორიზონტები

**ზამთარი** მოთხილამურეთა, მოციგურავეთა და ჰოკეისტთა დროა... მაგრამ მარტო მათი? ამ თვეებში „სპორტის დედოფლის" რაინდები — მძლეოსნებიც არ ისვენებენ. პირიქით: სწორედ ახლა უყრიან საფუძველს ზაფხულის გამარჯვებებსა და მაღალ შედეგებს. წამყვანი მძლეოსნები აქედანვე ემზადებიან ოლიმპიადისთვის, ითვლიან დღეებს...

**ნენად სტეკიჩი: „ჩემპიონატის გავლით — ოლიმპიადაზე!"**

ცნობილი იუგოსლაველი მძლეოსანი, ევროპის რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში ინტენსიურად ემზადება ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელიც მომავალ შემოდგომაზე პრაღაში გაიმართება. სტეკიჩი დარწმუნებულია, რომ ეს კარგი „სასტარტო მოედანი" იქნება მოსკოვის ოლიმპიადისათვის. იუგოსლაველი სპორტსმენის აზრით, ოლიმპიადის ოქროს მედლის მოსაპოვებლად საკმარისი იქნება 830 სმ-ზე გადახტომა. ძირითადი მეტოქეები იქნებიან ამერიკელი მხტომელები ოლიმპიურ ჩემპიონ ა. რობინსონის მეთაურობით, ფრანგი რუსო, პოლონელი ციბულსკი, ბაუმგარტნერი (გფრ).

— ალბათ გიკვირთ, რომ საბჭოთა მხტომელებს არ ვასახელებ. ვფიქრობ, რომ ახლა ისინი თავისებურ, ალბათ თაობათა ცვლასთან დაკავშირებულ კრიზისს განიცდიან.

როგორც სტეკიჩი ფიქრობს, ევროპის ჩემპიონატზე და ოლიმპიადაზე გადამწყვეტ როლს იმდენად სპორტსმენების ფიზიკური მომზადება არ შეასრულებს, რამდენადაც ფსიქოლოგიური. ამაში იგი საკუთარმა გამო[...] ცდილებამ დაარწმუნა.

ოცნებები? გააუმჯობესოს ევროპ[...] საკუთარი რეკორდი (845 სმ), გაიმ[...] რჯვოს პრაღაში და მოსკოვშიც. რა[...] შეეხება ბობი ბიმონის მსოფლი[...] მიღწევას (890 სმ), ეს შედეგი, რო[...] მელიც იდეალურ, განსაკუთრებულ [...] თილსასურველ პირობებში იქნა ნა[...] ვენები, იუგოსლაველი სპორტსმენ[...] აზრით, დარჩება ყველაზე ძვე[...] მსოფლიო რეკორდად მძლეოსნობაში.

**ჰელენა ფიბინგეროვა: „მჯერ[...] წარმატების".**

— მჯერა, რომ წლევანდელი წ[...] ლი არანაკლებ შედეგიანი იქნება, [...] დრე გასული. შარშან ევროპის ჩემპ[...] ონობა მოვიპოვე დარბაზში და ორ[...] ჯერ გავაუმჯობესე მსოფლიო რეკორ[...] დი, მაგრამ ბევრჯერ დავშავდი. ჩემ[...] მთავარი მიზანია წარმატებას მივაღ[...] წიო ევროპის პირველობაზე, იგი ხო[...] პრაღაში ტარდება! ჩემპიონატის შე[...] დეგ კვლავ „შევუტევ" მსოფლიო რე[...] კორდს... (საკდესი).









სურათებზე: ნ. დვალიშვილის უკანასკნელი „აკორდი"; ა. ტოროსიანი საჩვენებელი გამოსვლისას; სარბიელზეა დ. ჯლამაძისა და ლ. ნაკაიძის წყვილი; და ბოლოს, ი. კუზმინასა (მარცხნივ) და ლ. სამხარაძის საჩვენებელი გამოსვლის ერთ-ერთი ფრაგმენტი.

ავტორის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ობიექტივშია თბილისის XVII საერთაშორისო...

**ზამთარია** თბილისში, გაყუჩებულა „დინამოსა" და „ლოკომოტივის" სტადიონის ტრიბუნები, სიჩუმეს დაუსადგურებია ჩვენი დედაქალაქის ღია სპორტულ სარბიელებზე. სპორტსმენებს, მწვრთნელებს, გულშემატკივრებს კალათბურთისა და ფრენბურთის, ხელბურთისა და საჭიდაო დარბაზებში გადაუნაცვლებიათ.

წლევანდელი სპორტული იანვარი დიდი საერთაშორისო ტურნირით დაგვირგვინდა. თბილისელი მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეების დადგომას — 27 იანვარს სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა თბილისის XVII საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. უამრავი მაყურებელი დაესწრო 12 ქვეყნის უძლიერეს ფალავანთა პაექრობას. სასახლის სარბიელზე ბევრი ცნობილი მოჭიდავე და ბევრიც ახალბედა, მზარდი სპორტსმენი ვიხილეთ.






კიდევ დიდხანს დაახსომდებათ ჭიდაობის ქართველ გულშემატკივრებს ეს ტურნირი, რადგან, როგორც ყველა დიდ შეჯიბრებას არც მას დაჰკლებია სიხარული და მწუხარება, იმედი და სასოწარკვეთა, მქუხარე ტაში და ყურის წამღები სტვენა... შეჯიბრებამ ბევრი საგულისხმო, დამაფიქრებელი ფაქტი გამოამჟღავნა...

ასპარეზობა დამთავრდა, დროებით სიჩუმემ დაისადგურა სპორტის სასახლის თაღებქვეშ, უკან დარჩა სატურნირო ბატალიები და ეს ფოტორეპორტაჟი, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა შემოგვთავაზა, კიდევ ერთხელ გვაძლევს საშუალებას დამშვიდებით გადავავლოთ თვალი განვლილი ტურნირის სამახსოვრო სურათებს.





დიმიტრი მინდიაშვილზე ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც გიამბეთ, იგი სხვა ცნობილ ფალავნებთან ერთად ლევან თედიაშვილსაც ამზადებდა ამ შეჯიბრებისთვის — ორივე პირველ სურათზე არიან აღბეჭდილი. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირისა და საქართველოს შემდეგ 69 საჯარიმო ქულით ამერიკელთა ნაკრები გამოვიდა, მეორე სურათზე სწორედ მათი მწვრთნელია გამოსახული. თბილისის ტურნირი უკვე მეოთხედ მოიგო ბორის ბიგაევმა (მესამე სურათი), იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მძიმეწონოსანთაგანია. ეს კაცი, რომელიც მეოთხე სურათზეა აღბეჭდილი, ერთ-ერთი მწვრთნელია ირანელი ფალავნის მოჰამედ ბაზმოვარისა, რომელმაც შესანიშნავი ჭიდაობით ისახელა თავი და გამარჯვებულის სახელიც მოიხვეჭა. სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა 21 წლის გერმანელმა ფალავანმა ხარტმუდ რაიხმა, მეხუთე სურათზე სწორედ ისაა აღბეჭდილი თავის მწვრთნელთან ერთად. თბილისის საერთაშორისო ტურნირს ფილას დროშა მფარველობდა, ბოლო სურათზე გამოსახულნი არიან საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები, ფილას წარმომადგენელი სეპპო ნურმინენი (ფინეთი) და ამერიკელი ჩედ ქროუ.






## პრიზიორები

თბილისი. სპორტის სასახლე. 27-29 იანვარი. თავისუფალ მოჭიდავეთა XVII საერთაშორისო ტურნირი.

48 კგ. 1. მ. ბაზმოვარი (ირანი), 2. ზ. კაზაკბიევი (სსრ კავშირი), 3. ი. ფალანდესი (პოლონეთი)... 12. ნ. ჯაფაროვი (საქართველო).

52 კგ. 1. ა. ივანოვი (სსრ კავშირი), 2. ჰ. რაიხი (გდრ), 3. დ. ფილიპოვი (ბულგარეთი), 4. ა. სულაქველიძე, 5. ა. კაპანაძე (ორივე — საქართველო).

57 კგ. 1. ბ. იბრაჰიმოვი (სსრ კავშირი), 2. მ. მანგიანტი (აშშ), 3. ი. მარდონი (ირანი)... 7. გ. ჭენქაძე (საქართველო)

62 კგ. 1. ხ. ხატაგოვი (სსრ კავშირი), 2. ბ. სტივი (აშშ), 3. დ. არვოლაი (კუბა)... 5. ზ. სარდანიშვილი, 6. მ. ხითარიძე (ორივე — საქართველო).

68 კგ. 1. ი. ჰაიდარბეკოვი (სსრ კავშირი), 2. ა. მაჩმუდი (ირანი), 3. გ. გეორგიევი (ბულგარეთი)... 5. დ. გიგაური... 8. ნ. როსტომაშვილი, გ. კოტორაშვილი (სამივე — საქართველო).

74 კგ. 1. მ. აბდულმუსლიმოვი (სსრ კავშირი), 2. მ. ჰუსეინი (ირანი), 3. დ. კარაბინი (აშშ)... 8. ო. ყაჭაშვილი, 9. ვ. იმერლიშვილი... 11. გ. მაკასარაშვილი (სამივე — საქართველო).

82 კგ. 1. ჰ. ზანგიევი (სსრ კავშირი), 2. ძ. დუბჩინი (მონღოლეთი), 3. ლ. ნადი (უნგრეთი)... 7. თ. საჯაია... 9. რ. მარსაგიშვილი... 13. ვ. იაშვილი... 18. ვ. მოდოსიანი (ყველა — საქართველო).

90 კგ. 1. ვ. ბატნია (სსრ კავშირი), 2. ს. ლოდერი (აშშ), 3. პ. კურჩევსკი (პოლონეთი)... 6. ვ. გელაშვილი... 12. გ. მაჭარაშვილი (ორივე — საქართველო). ამ წონაში იჭიდავა ვ. მარშანიამაც. სამი შეხვედრა სუფთად მოიგო, ორი ქულებით, ფინალში ქულებით წააგო გამარჯვებულთან.

100 კგ. 1. ლ. თედიაშვილი (საქართველო), 2. ა. ტამკინი (თურქეთი), 3. მ. ზარზარო (კუბა)... 7. მ. მერმანიშვილი (საქართველო). ამ წონაში გამოდიოდა რ. ხუტაბაც. ორი შეხვედრა სუფთად მოიგო, ამდენივე ქულებით, წააგო გამარჯვებულთან.

100 კგ-ის ზევით. 1. ბ. ბიგაევი (სსრ კავშირი), 2. ლ. ეივრი (აშშ), 3. ლ. მორალესი (კუბა). ამ წონაში გამოდიოდა ნ. მოდებაძე: სამი შეხვედრა სუფთად მოიგო, შემდეგ ხელი იტკინა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

# საჭიროა ახალი სერია

**საკავშირო** გამომცემლობა „ზნანიე" რუბრიკით „სიახლე ცხოვრებაში მეცნიერებასა და ტექნიკაში" ყოველთვიურად მრავალ დასახელების მეტად საინტერესო ბროშურებს უშვებს. მათი ერთი ნაწილი წარმოდგენილია სახალხო უნივერსიტეტებით, დანარჩენი ლიტერატურა კი გამოდის სხვადასხვა სერიების სახით.

სახალხო უნივერსიტეტებსა და სერიებს დროთა განმავლობაში ახალი „კოლეგები" ემატებოდა და ამჟამად უკვე გამოდის ოთხი „უნივერსიტეტი" და 30 სერია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი რაოდენობა ცხოვრების მოთხოვნის შესაბამისად კიდევ გაიზრდება.

სამეცნიერო პოპულარული ბროშურებისადმი მკითხველთა განუზომელ ინტერესზე მიუთითებს მათი მასობრივი ტირაჟი, ზოგიერთი მათგანი 350 ათასი ეგზემპლარით იცემა. ბროშურების უმრავლესობა ხელმოწერით ვრცელდება.

თითოეულ ბროშურას ამშვენებს სასარგებლო და საქმიანი სიმბოლო C, რაც თარგმანის უფლების ნიშნავს. ჩვენი აზრით, იგი კიდევ უფრო ამაღლებს გამოცემული ლიტერატურის ღირებულებას.

ვფიქრობთ, სადღეისოდ მომწიფებულია საკითხი ცალკე სერიად გამოიცეს „ფიზკულტურა და სპორტი". საამისო მოთხოვნის უფლებას გვაძლევს მილიონობით საბჭოთა სპორტსმენის მიერ მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებები და მომავლის გაზრდილი ამოცანები. მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში ფიზკულტურაზე, სპორტსა და ტურიზმზე ზრუნვა უმაღლეს დონეზეა ასახული.

ახალი სერია, 12 ბროშურა წელიწადში, კარგი საჩუქარი იქნება ქალაქებსა და პერიფერიებში მომუშავე ლექტორ-მომხსენებლებისათვის, ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტებისა თუ ფაკულტეტების მსმენელებისათვის, სპეციალისტებისა და სპორტის მოყვარულთათვის.

**თ. კახელიშვილი,**
**საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი.**

### ჯადოსნური სამყარო

### ჩოხატაური

რაიონის პირად-გუნდურ პირველობაში ყველა საშუალო და რვაწლიანი სკოლის მოჭადრაკეთა გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა.

რვაწლიან სკოლებს შორის გაიმარჯვეს ბუკნარის მოსწავლეებმა. პირად ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ: გოგონათა შორის ნ. რამიშვილი (დიდი ვანი), ჭაბუკებს შორის ა. ბერაძე (ბუკნარი). საშუალო სკოლის კოლექტივებს შორის ჩემპიონი გახდა ჩოხატაურის I საშუალო სკოლის გუნდი, პირად ჩათვლაში გოგონათა შორის — მ. მამალაძე (ერკეთი), ჭაბუკთა შორის — ა. ბერძენიშვილი (ჩოხატაურის I საშუალო სკოლა).

**დ. გურგენიძე.**
**(ჩვენი კორ.).**

# სპორტული ჭიათურა

ლენინის ორდენოსანი სამთამადნო კომბინატის კულტურის სახლში ჩატარდა ელვისებური ტურნირი ჭადრაკში. შეჯიბრებაში, რომელშიც ქალაქის უძლიერესი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ, გაიმარჯვა პირველთანრიგოსანმა თ. ბრეგვაძემ.

✦

მოსწავლეთა საქალაქო პირველობაზე კალათბურთში გოგონათა შორის I ადგილი ქალაქის რუსული საშუალო სკოლის ნაკრებმა მოიპოვა. ვაჟებში საუკეთესო იყო პირველი საშუალო სკოლის გუნდი.

✦

„განთიადის" საქალაქო სპარტაკიადაში საუკეთესო იყო ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს ფიზკულტურის კოლექტივი (მეთოდისტი ზ. შარიქაძე), რომელმაც გარდამავალ თასთან ერთად, ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის ვიმპელიც მოიპოვა.

სოფელ ხრეითში, ბიჭია ჯაფარიძის ოჯახში დაიბადნენ და აღიზარდნენ მთამსვლელი ჯაფარიძეები — ალიოშა, სიმონი და ალექსანდრა. გადაწყდა, რომ ხრეითში ჯაფარიძეების მამისეული სახლი აღსდგეს და იგი ცნობილი მთამსვლელების სახლ-მუზეუმად გადაკეთდეს.

ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი კიდევ ერთი აღიარება იქნება იმ დიდი ამაგისა, რომელიც საქვეყნოდ განთქმულმა მთამსვლელებმა დასდეს სპორტის ამ სახეობის განვითარებას.

✦

მოსწავლე მოჭადრაკეთა პირველობაში მონაწილე 9 გუნდს შორის გაიმარჯვეს ქალაქის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

**გ. ბარჯაძე,**
**სპორტის ოსტატი.**
**(ჩვენი კორ.).**

ჭიათურა.





# უჩვეულო სტარტი

წლევანდელი ზამთრის სეზონის სტარტი საბჭოთა სპორტსმენებისთვის უჩვეულო სტარტი გამოდგა. ჯერ იყო და იმტსის საციგაოზე რიგელში გ. ზოზულიამ ქალთა შეჯიბრებაში 738-მეტრიან ტრასაზე სამი ცდით 1 წუთი და 49,168 წამი დახარჯა და მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა. იქვე ორადგილიანი ციგებით ვაჟთა შორის იმარჯვეს მისმა თანაგუნდელებმა — დ. ზრიომზემ და ა. კრიკისმა.

და აი, ოსლოდან ახალი სასიხარულო ცნობა მოვიდა: იქ გამართულ მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა ვაჟებმა დაიბრუნეს კონტინენტზე უძლიერესის სახელი. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 18 წლის მანძილზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს მხოლოდ ჰოლანდიელები, ნორვეგიელები და შვედები იკავებდნენ. ამჯერად საბჭოთა სპორტსმენმა ს. მარჩუკმა მრავალჭიდში 171,559 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალი მიიღო.

* * *

სურათებზე: დისტანციაზე ს. მარჩუკი; გ. ზოზულია.

# მორიგი ახალგაზრდული...

უეფა-მ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ევროპის ახალ ჩემპიონატში ახალგაზრდული გუნდებისთვის დაიშვებიან ფეხბურთელები 21 წლამდე. მომავალ ჩემპიონატში ითამაშებს 25 გუნდი, რომლებიც წილისყრის შემდეგ დაიყვნენ 8 ჯგუფად.

1. ინგლისი, დანია, ბულგარეთი;
2. ბელგია, ნორვეგია, შოტლანდია, პორტუგალია;
3. [illegible], კვიპროსი, ესპანეთი;
4. ჰოლანდია, პოლონეთი, გდრ;
5. ჩეხოსლოვაკია, შვეცია, საფრანგეთი;
6. სსრ კავშირი, ფინეთი, საბერძნეთი;
7. თურქეთი, რუმინეთი, უნგრეთი;
8. იტალია, ლუქსემბურგი, შვეიცარია.

# 10 საუკეთესო მსაჯი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა ჩვენი ქვეყნის 10 საუკეთესო მსაჯის სია 1977 წლის სეზონის შედეგებით. მასში შევიდნენ (ანბანის მიხედვით): ე. აზიმ-ზადე (ბაქო), გ. ბაქანიძე (თბილისი), ა. ივანოვი (ლენინგრადი), ა. კადეტოვი (მოსკოვი), მ. კუსენი (ლვოვი), ვ. ლიპატოვი (მოსკოვი), ა. მილჩენკო (სოხუმი), მ. მკრტჩიანი (ერევანი), ვ. ჟარკოვი (მოსკოვი), მ. ჩერდანცევი (ალმა-ათა).

# სიმონსენის აზრით

ფრანგული გაზეთი „ფრანს ფუტბოლი" 1956 წლიდან რეგულარულად ავლენს ევროპის № 1 ფეხბურთელს, რომელსაც გადასცემს „ოქროს ბურთს". ამ ხნის მანძილზე პირველი ლაურეატები იყვნენ ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პორტუგალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჰოლანდიის ფეხბურთელები. ახლა მათს რიცხვს მიემატა დანიელი მოთამაშეც.

ესაა ალან სიმონსენი, რომელიც ბორუსიის „მიონხენგლადბახში" (გფრ) თამაშობს. ა. სიმონსენი დაიბადა ქ. ველეში (დანია) 1952 წელს. მისი სიმაღლეა 1 მ და 68 სმ, წონა 65 კგ. პროფესიულ ფეხბურთში გამოდის 1973 წლიდან, როცა სამშობლოდან გადავიდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. სამჯერ იყო გფრ-ის ჩემპიონი, 14-ჯერ ითამაშა დანიის ეროვნულ ნაკრებში.

როცა გერმანელმა მწვრთნელმა ვაისვაილერმა პირველად ნახა სიმონსენი, ხუმრობით იკითხა საბავშვო ბაღის გახსნას ხომ არ აპირებთო. ამ ხუმრობის შემდეგ დანიელი ფეხბურთელი მთელი ნახევარი წლით გაქრა ძირითადი შემადგენლობიდან, შემდეგ კი, როდესაც სიმონსენს თვალი დაადგეს მადრიდის „რეალის" წარმომადგენლებმა, მისი ფასი ზღაპრულად გაიზარდა: ფეხბურთელი ნაყიდი იყო 40 ათას მარკად, მასში კი უკვე იხდიდნენ 1,6 მილიონს.

სადღეისოდ რამდენიმე ათეული დანიელი ფეხბურთელი გამოდის დასავლეთ ევროპის სხვადასხვა კლუბში. მათი რაოდენობა მარტო გფრ-ში 25-ს აღწევს: თვით „მიონხენგლადბახში" სხვადასხვა დროს 4 დანიელი გამოდიოდა — ლაფევრი, იენსენი, ნილსენი და ახლა — სიმონსენი. ამ უკანასკნელის მიმართ კლუბის ხელმძღვანელობა ხშირად მიდის გამონაკლის დათმობაზე, კერძოდ აძლევს მოკლევადიან შვებულებებს. თვით ფეხბურთელი ამ მოვლენას ასეთ კომენტარს უკეთებს:

— მე აუცილებლად მჭირდება დასვენება წელიწადში ორჯერ. ამ პერიოდში არც ერთი სიტყვა ფეხბურთზე. დასვენება, მხოლოდ დასვენება, შემდეგ კი დაძაბული მატჩები, არაქათის გამცლ[illegible] შეჯიბრებები.

რაც შეეხება „ოქროს ბურთის" ჯილდოს, ა. სიმონსენი ასეთ აზრს გამოთქვამს:

— ამგვარ აღიარებაზე ვერც ვიფიქრებდი. პრიზი, ვფიქრობ, მივიღე მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპულ ფეხბურთში ახლა არ არიან ჭეშმარიტი ლიდერები. მაგრამ, რა თქმა უნდა, ბედნიერი და მადლიერი ვარ.

მას შემდეგ, რაც მოხდა მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა, საინტერესო განცხადებით გამოვიდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეს-ატაშე რენე კურტი. მან ხაზი გაუსვა, რომ წინასწარი ჯგუფების შემადგენლობებმა არ უნდა გამოიწვიოს რაიმე გაუგებრობა, ვინაიდან მათი დაკომპლექტებისას გათვალისწინებული იყო არა მარტო სპორტული, არამედ ეკონომიური და ორგანიზაციული მოსაზრებებიც. მისი სიტყვებით, წილისყრის პროცედურა ზედმიწევნით ზუსტად იყო გაანგარიშებული, რათა რაიმე შემთხვევითობას არ ჰქონოდა ადგილი.

უცხოეთის პრესაში ამ სიტყვებს ის კომენტარი გაუკეთეს, რომ წილისყრა შეცვლილი იქნა წინასწარ დაგეგმილი რეჟისურით.

## ფეხბურთი

დასავლეთ გერმანიის საინფორმაციო სააგენტომ ისკ-მა მსოფლიოს საუკეთესო გუნდად 1977 წლის აღიარა ბრაზილიის ნაკრები. 13 მატჩიდან მან მოიგო 7 და ფრედ დაამთავრა 6 მატჩი, ბურთების შეფარდებით 26:5. მომდევნო ადგილები დაიკავეს გფრ-მ, ჰოლანდიამ, საფრანგეთმა და სხვ.

ნიუ-იორკის „კოსმოსმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიძინა. ესაა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" მოთამაშე ბოგიჩევიჩი, რომელსაც 47-ჯერ აქვს ნათამაშევი იუგოსლავიის ნაკრებში.

## ჩვენი ძოძაე კალენდარიდან

## ჩემპიონთა სკოლა

შარშანდელი ჩემპიონატის შედეგები საერთაშორისო შაშში როგორღაც უნიკალური გამოდგა: ერთი მწვრთნელის სამი აღზრდილი ერთდროულად მოხვდა პირველ ხუთეულში. არადა მათ მეტოქეთა შორის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ელენე მიხაილოვსკაიაც იყო. ამ წარმატებას მიაღწია რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის იაკოვას შაუსახის მიერ აღზრდილმა ვილნიუსელ გოგონების ტრიომ. ამასთან „ოქრო" წილად ხვდა სტუდენტ რამუალდე ვიტკაუსკაიტეს (21 წ). ჩემპიონატის დებიუტანტი მოსწავლე ჟივილე საკალაუსკაიტე მხოლოდ 16 წლისაა. მასთან შედარებით 19 წლის სტუდენტი ლუბოვ ტრავინა თითქმის „ვეტერანად" გამოიყურება. იქნებ იმიტომაც, რომ საბჭოთა კავშირის პირველობის ორი ოქროსი და მსოფლიოს ორი ვერცხლის მედლის მფლობელია.

64 უჯრიან შაშში ქვეყნის ჩემპიონატში ოქროს და ვერცხლის პრიზიორები არიან ვილნიუსელი იანინ აუგუსტინაიტე, ნადეჟდა მარკიავიჩენე, სტასე იანგაუნიტე.

ჯერ კიდევ ბავშვობაში სტასემ მძიმე ავადმყოფობის შედეგად მხედველობა დაკარგა. სახელმწიფოს დახმარებამ, უდრეკმა შინაგანმა ძალამ გოგონას შეაძლებინა სნეულების დაძლევა. სტასემ საშუალო სკოლა დაამთავრა, შემდეგ უნივერსიტეტი, გახდა გამომცემლობის რედაქტორი და ერთ-ერთი ძლიერი მოშაშე.

ვილნიუსის ჭადრაკისა და შაშის სპეციალურ სკოლაზე, ჩემპიონთა სკოლაზე მთელი ხმით ალაპარაკდნენ. სკოლა ახალგაზრდაა და მწვრთნელებიც მხცოვანი ავტორიტეტები კი არა, ახალგაზრდები არიან.

ჩემპიონთა მწვრთნელი, იაკოვას შაუსასი საშუალო სკოლების ხშირი სტუმარია. ვილნიუსელი მწვრთნელების მიერ შემუშავებული მეთოდების მიხედვით არჩევს ისეთი თვისებებით დაჯილდოებულ მოსწავლეებს, როგორიცაა შრომისმოყვარეობა, აზროვნების სისწრაფე. მაგალითად, საკალაუსკაიტემ ყველანი განაცვიფრა ფენომენალური აზროვნებით, ტრავინამ — სიტუაციებში ელვისებურად გარკვევის უნარით.

„ჩემპიონთა სკოლაში" მოსწავლეთა ეს თვისებები მდიდრდება და ღრმავდება. ამას ხელს უწყობს პროგრამული სწავლება და ამოცანების მდიდარი და ორიგინალური კარტოტეკა. მწვრთნელის დღიურში „რენდგენის სურათივით" ჩანს თითოეული მოწაფის ნამოღვაწარი. იაკოვას შაუსასს თავისუფლად შეუძლია დაასახელოს იმ მოსწავლეთა ჯერ კიდევ უცნობი სახელები, რომელთაგანაც შეიძლება მორიგ სიურპრიზებს მოველოდეთ.

ს. ფაინტრაუბასი.
საკდესის კორ.

ვილნიუსი.

„ჩესკოსლოვენსკი სპორტისა" და სპორტკლუბ „ვიტკოვიცეს" მეათე საერთაშორისო ანკეტის შედეგებით „ოქროს ქალვის" საპატიო პრიზები მიეკუთვნათ პოლონელ ი. შევინსკასა და ს. ოვეტს (დიდი ბრიტანეთი). ისინი აღიარებული არიან ევროპის 1977 წლის საუკეთესო მორბენლებად.

შვიდი ოლიმპიური მედლის მფლობელი 32 წლის ი. შევინსკა „ოქროს ქალვს" მესამედ მიიღებს, ხოლო 22 წლის ინგლისელი ოვეტი — პირველად.

როგორც ცნობილია, შევინსკამ და ოვეტმა, მსოფლიო თასების პირველ გათამაშებაში გაიმარჯვეს. მაშინ დიუსელდორფში შევინსკა უძლიერესი იყო 200 და 400 მეტრზე, ხოლო ოვეტმა 1500 მეტრზე რბენა მოიგო.

შარშანდელი ანკეტის მიხედვით უძლიერესებად აღიარეს მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი ტ. კაზანკინა (სსრ კავშირი) და ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ფინელი ლ. ვირენი.

წლევანდელ გამოკითხვაში კაზანკინა და ლ. ბრაგინა ქალთა შორის უძლიერესთა ათეულში მოხვდნენ. სამწუხაროდ, ვაჟთა სიაში არც ერთი საბჭოთა მორბენალი არ აღმოჩნდა. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ რბენა ჩვენში კვლავ ჩამორჩება.

## მძლეოსნობა

ნიუ იორკის ერთ-ერთ დარბაზში გამართულ მძლეოსანთა ტრადიციულ შეჯიბრებაზე, რომელიც „მილროუზის თამაშების" სახელითაა ცნობილი, სამი მსოფლიო მიღწევა გაუმჯობესდა: 20 წლის ფ. ჯეკობსმა 232 სმ სიმაღლე გადალახა. ეს შედეგი 1 სმ-ით აღემატება კანადელი გ. ჯოს მიღწევას. იმ ასპარეზობაში, როცა რეკორდსმენი გახდა გ. ჯო, ფ. ჯეკობსმა II ადგილი დაიკავა (228 სმ).

20 წლის ჰიუსტონელმა მაკ-ტირმა 60 იარდი 6,11 წამში გაირბინა. მან წლეულს მსოფლიო მიღწევა უკვე გააუმჯობესა 60 მეტრზე რბენაში და აი, ახლა მორიგ წარმატებას მიაღწია.

60 იარდზე თარჯრბენში 18 წლის ნ. ნეჰემიამ 0,4 წამით გააუმჯობესა ადრინდელი მსოფლიო მიღწევა. მისი შედეგია 7,07 წამი.

## მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.

ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.

## ველოსპორტი

ამორებეტის (ესპანეთი) მიდამოებში საკმაოდ ძნელ ტრასაზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ველოკროსში.

მოყვარულთა შორის პირველობა ბელგიელმა რ. ლიბორტონმა მოიგო. ამ 20 წლის სპორტსმენმა ძირითადად შვეიცარიელებთან ჟ. ბლაზერთან და კ.-პ. ხელბიგთან დაძაბულ ბრძოლაში შეძლო 17,9-კილომეტრიანი დისტანცია პირველს გადაეკვეთა — 1:02.32.

პროფესიონალთა შორის (20,8 კმ) ყველას აჯობა მ. ცვაიფელმა (შვეიცარია) — 1:07.21.

# მესამე ტურში

სვერდლოვსკის სპორტკლუბ „კედრის" საციგაო ტრასა სულ მალე უმასპინძლებს სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის მონაწილეებს. ამიტომ ამ დღეებში აქ გამართული საკავშირო ჩემპიონატის მესამე ეტაპის შეჯიბრება ერთგვარ გენერალურ რეპეტიციად შეიძლება ჩაითვალოს მომავალი დიდი სტარტების წინ.

1062-მეტრიან დისტანციაზე (12 ვირაჟით) ვაჟთა შორის, როგორც მეორე ეტაპზე, ისე ამჯერადაც იმარჯვა ი. ვისაკსმა („ვარპა"), რომელმაც სამ დაშვებას 2.35,28 მოანდომა. მანვე დაამყარა ტრასის რეკორდი, როცა ერთ-ერთ ცდაზე მის გავლას 51,62 წამი მოანდომა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ი. კრეცერისმა (შეიარაღებული ძალები) — 2.36,32 და ს. ავდოშკინმა („ლოკომოტივი") — 2.36,86.

ქალებისთვის ტრასის სიგრძე 810 მეტრი იყო (9 ვირაჟი). აქ უძლიერესი აღმოჩნდა ნ. მიტკევიჩი — 2.13,99. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ნ. მოლოკინა — 2.16,27 და ნ. სტარუდუბცევა (სამივე — „ზენიტი") — 2.16,49.

ვაჟთა შორის ორადგილიანი ციგებით დაშვებაში კვლავ პირველები იყვნენ ნ. და ვ. პაპიროვები („ზენიტი"). მათ ორი ცდის ჯამში საუკეთესო დრო (1.28,2) აღმოაჩნდათ. ვ. შუგუროვისა და ვ. ტერეშჩენკოს შედეგია 1.29,81, ს. პავლოვისა და ა. ბაბჩენკოსი (ორივე წყვილი „სპარტაკიდანაა") — 1.31.29.

რედაქტორი
ბ. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკისა — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 09924